გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება №120

2023 წლის 14 ივლისი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის მოქალაქე ავთანდილ ყაზარაშვილის მიმართ დაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 06 ივნისს განცხადებით (რეგისტ.: №19/2023160277-20) მომართა მოქალაქე ავთანდილ ყაზარაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2016 წლის 14 სექტემბერს გააფორმა იჯარის ხელშეკრულება გორის მუნიციპალიტეტთან სოფ.ტინისხიდში მდებარე უძრავი ქონების ს/კ 66.44.03.507 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე. ქვეყანაში შექმნილ პანდემიურ მოვლენებს და ასევე უცხო პირთა მხრიდან მიწის ნაკვეთით სარგებლობასთან დაკავშირებული ხელშემშლელი გარემოებების არსებობას შედეგად მოყვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, რომელმაც შეადგინა 4619.00 ლარი (ქირის დავალიანება- 2416.00 ლარი, ხოლო პირგასამტეხლო- 2203.00 ლარი) და ითხოვს დაკისრებელი დავალიანებისაგან გათავისუფლებას. მისი ეკონომიკური მდგომარეობის და ქვეყანაში შექმნილი კოვიდპანდემიის გათვალისწინებით გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მოქალაქე ავთანდილ ყაზარაშვილი განთავისუფლდეს დაკისრებელი პირგასამტეხლოსგან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას აძლევს გორის მუნიციპალიტეტის მერს მოქალაქე ავთანდილ ყაზარაშვილის მიმართ დაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის და 61 მუხლის 1-ლი და მე–2 პუნქტის საფუძველზე გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს მოქალაქე ავთანდილ ყაზარაშვილის (პ/ნ 59001027762) მიმართ გორის მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ ყაზარაშვილს შორის 2016 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებელი 2203.00 (ორი ათას ორას სამი) ლარის პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების შესახებ.
2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**